[illegible] სარევოლუციო პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

ტფილ. ფასი 50-ს მან. პროვინც. 6000 მან.

ოთხშაბათი სექტემბრის 20 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის**

დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის **მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური**

## აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

## შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

# იმპერიალიზმის ბუდი აღმოსავლეთში

ოსმალეთ-ბერძენთა ომის ვითარებამ მრავალი საერთაშორისო კითხვები გამოამჟღავნა და დიპლომატიის საიდუმლო პორტფელებიდან საბედისწერო სასწორზედ დასდვა გადასაწყვეტად.

ახლო აღმოსავლეთის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული ევროპის პოლიტიკასთან, ამიტომ ყოველივე მოვლენა, რომელსაც ადგილი ექნება ამ მხარეში, თავის შესაფერისს გავლენას ახდენს ევროპის პოლიტიკურს ვითარებაზედ და მოქმედებაში მოჰყავს იქ არსებული სახელმწიფოები.

დღევანდელი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთისა და იქ საბერძნეთ-ოსმალეთის დაპირისპირება იარაღით ხელში, ფაქტიურად გამოხატავდა მოკავშირე სახელმწიფოების ინტერესთა დაპირისპირებას. ინგლისი აზიის მფლობელი და ბატონია, ამიტომ მისს უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის თავის გეგმაზე დალაგება და მისი მშვიდობიანი ექსპლოატაცია. მთელი ენერგია და ყურადღება ინგლისისა აზიის მიდამოებისაკენ არის მიმართული და იქ მისთვის საჭირო-ბოროტო საკითხების მოწესრიგებით ცდილობს ბრიტანეთის იმპერიალიზმს ხელუხლებელი ბატონობა [illegible] მთელს მსოფლიოში. მეორეს მხრით, საფრანგეთი შედარებით არ არის დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის საკითხით და მისი პოლიტიკა ამ მხრივ უფრო მშვიდობიანი აღმოჩნდა ოსმალეთის მიმართ.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა იმდენათ აქტიური არის, რამდენათაც ის ხელს უწყობს მას ევროპის საქმეებში გამარჯვებას. მასთანავე ინგლის-საფრანგეთის ინტერესები ფაქტიურად დაუპირისპირდა ერთმანეთს როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც და ეს გარემოება თავის დაღს ასვამს ახლანდელს ვითარებას. ინგლისმა საუკეთესო სამეურნეო ერთეულები ახლო აღმოსავლეთისა ხელში ჩაიგდო და საფრანგეთი თითქმის ხელ ცარიელი დასტოვა. მესოპოტამიის ნავთის რაიონები და მნიშვნელოვანი გზების დაპყრობით მცირე აზიაში ინგლისმა გადაიმტერა საფრანგეთი და აიძულა საწინააღმდეგო პოზიციას დასდგომოდა. მასთანავე საფრანგეთის პოლიტიკამ სირიაში დამარცხება განიცადა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ოსმალეთთან შეთანხმების პოლიტიკას.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი ამ ინტერესთა დაპირისპირებას გამოხატავდა ამ ბოლო ხანებში. როგორც მაროკოსა და ტანჟერის გარშემო—ადგილობრივ არაბებსა და ისპანიის შეტაკებების დროს, ინგლისი ეფარებოდა ისპანიასა და საფრანგეთი კი აჯანყებულ აბორიგენებს და ამ გვარი ფორმით ატარებდნენ ცხოვრებაში თავიანთ ინტერესებს, ისე დღესაც ოსმალეთ-ბერძნების შეტაკებას აწარმოებდნენ მათი ინტერესების მიხედვით ზემოდ აღნიშნული სახელმწიფოები.

მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკამ, რომელმაც ასეთი დიდი გამარჯვება მოიპოვა დროებით მაინც ქემალ-ფაშას იარაღით, საფრთხეში ჩააგდო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი საერთოდ აღმოსავლეთში. დღეს საფრანგეთი თითქოს უკან იხევს და შეთანხმების გამოძებნაში არის ინგლისთან, მაგრამ ანგორის ნაციონალისტების გამარჯვება თავის თავად უდრის დასავლეთის იმპერიალიზმის განდევნას აღმოსავლეთიდან და რუსეთის გავლენის გაძლიერებას. „დეილი ტელეგრაფის" სამხედრო კორესპონდენტი რეპინგტონი სწერდა: „ქემალისტებისა და მათი მოკავშირეების—ბოლშევიკების პოლიტიკის შედეგი შეიქმნა ის, რომ შესაძლებელი ხდება დასავლეთის ხალხებს წაერთვათ ის ტერიტორიები, რომელიც მათ ეპყრათ მცირე აზიაში, სირიით, მესოპოტამიით და პალესტინით".

სევრის ავაზაკურმა ხელშეკრულებამ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია რამოდენიმე ნაწილად დაჰყო და აქედან ცალკე დამოუკიდებელი ერთეულების შექმნას შეუდგა. დღეს გამარჯვებული ოსმალეთი საბერძნეთის მცირე აზიიდან განდევნასა და სმირნისა და ბრუსის ოლქების განთავისუფლებასთანავე, მორიგ ამოცანად სვამს კონსტანტინოპოლისა, სრუტეებისა და თრაკიის დაბრუნებას. მეორეს მხრით, პროცესი ოსმალეთის გაერთიანებისა თავისი ბუნებრივი გზით უნდა წავიდეს და ოსმალეთი შეეცდება განთავისუფლებული მახლობელი [illegible] მესოპოტამიიდან, პალესტინიდან და სხვა ტერიტორიებიდან დასავლეთ იმპერიალისტების გასადევნად. ამ პროგრამის განსახორციელებლად იბრძვის ანატოლიის მთავრობა და ის მთელი თავისი ენერგიით და საშუალებებით შეეცდება აღადგინოს ოსმალეთის სუვერენობა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. ოსმალეთის ასეთი პოლიტიკა უდიდეს საფრთხეს უმზადებს ინგლისის ბატონობას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ მთელს მის აზიისა და აფრიკის კოლონიებში. ეს გარემოება იწვევს საერთაშორისო ძალების ამოძრავებას და შესაფერის სამოქმედო გეგმებით გამოსვლას.

როგორც უკანასკნელი რადიოები გადმოგვცემენ, ინგლისი აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს კონსტანტინოპოლის რაიონში და მასთანავე წინადადებას აძლევს სამხრეთ-სლავიასა და რუმინიას მონაწილეობა მიიღოს ნეიტრალური ზონის დაცვაში, აგრეთვე მიჰმართა თავის კოლონიებს წინადადებით გამოგზავნონ ახლო აღმოსავლეთში სამხედრო რაზმები. ეს ცნობები ნათელს ჰყოფენ იმ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთში ძლიერ ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ახალი შეტაკებებისა და სისხლის ღვრისა.

იქნობამდე ახლო აღმოსავლეთის საკითხში განსაკუთრებით გამოდიოდნენ დიდი ანტანტის წევრები, დღეს აქ თავს ყოფს მცირე ანტანტა და თავის ინტერესებზედ ლაპარაკობს. საქმე იმაშია, რომ ოსმალეთის მოთხოვნამ თრაკიის დაბრუნებისა და მარიცას სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონის ადრიანოპოლით ოსმალეთის ხელში გადასვლის შესაძლებლობამ კვლავ აამოძრავა ბალკანეთის სახელმწიფოები და ისინიც საომარ ფეხზედ დააყენა. „თრაკია აუცილებლად გამოიწვევს ახალს ბალკანეთის ომებს" სწერს „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი. ოსმალეთის ევროპის ტერიტორიაზედ ხელმეორედ შესვლა და თავის ყოფილ ტერიტორიებზედ ოსმალური დროშების აღმართვა ბალკანეთს ახალ საფრთხით ემუქრება. ამ გარემოებას აძლიერებს აგრეთვე ოსმალეთ-ბულგარეთის კავშირიც. სამხრეთ-სლავია, რუმინია და საბერძნეთი არსებითად დაინტერესებულნი არიან ხელი შეუშალონ ოსმალეთს შემოვიდეს ევროპაში და აღადგინოს თავისი ბატონობა. ასეთს პირობებში ოსმალეთის სამხედრო ძალას და მის პოლიტიკას ევროპის კონტინენტზედ შესაძლებელია რეალურად დაუპირისპირდეს აღნიშნულ სახელმწიფოების სამხედრო ძალებიც. ამ რიგად ახლო აღმოსავლეთის ომი თან და თან გაძლიერდება ბალკანეთში გადმოსვლით და სრულიად მოსალოდნელია ევროპის სხვა ტერიტორიებისაკენაც გადმოვარდეს და საერთაშორისო კოცონი გააჩაღოს.

ინგლისის მთავრობას ნათლად ესმის მცირე ანტანტის წევრთა არსებული დაინტერესება ოსმალეთის საკითხით და ისიც ცდილობს გამოიყენოს ეს სახელმწიფოები თავის მიზნისათვის. აზრი ბალკანეთ-ოსმალეთის კონფერენციის მოწვევისა ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული. როგორც რადიო გადმოგვცემს, ინგლისის პრესა აღნიშნავს აუცილებლობას მოწვეული იქმნას კონფერენციაზე ბალკანეთის ყველა სახელმწიფოები, რომ ამით მიღწეული იქმნეს ნამდვილი და მტკიცე შეთანხმება მათ შორის ოსმალეთის მისწრაფების დასაპირისპირებლად და მისი ომის წინანდელი მდგომარეობის აღდგენის ცდის წინააღმდეგ.

ამ რიგად ახლო აღმოსავლეთის მრავალ მხრით დახლართულ საკითხთა ერთად თავი წამოყო ბალკანეთის საკითხმაც. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ საერთაშორისო საკითხები განუყრელი რგოლებით არის ერთი-მეორეზედ გადაბმული და ცვლილება ერთს ადგილას იწვევს მოძრაობასა და ცვლილებას მეორე ადგილასაც.

მსოფლიო წელს ამ ცვლილების პროცესში იმყოფება და ვერ მოუნახავს დიდ კონფლიქტებიდან გამოსავალი გზები. მიუხედავად ფორმალური მშვიდობიანობისა, ფაქტიურად ომი გრძელდება და თანდათან თავის რკალში ითრევს უფრო მეტს ტერიტორიებს.

ევროპის იმპერიალიზმა თავისი აგრესიული საშუალებებით ვერ შესძლო საარსებო მდგომარეობის აღდგენა აღმოსავლეთში. „მთელი ეს მხარეები დაწყვეტილი აფრიკის მიდამოებიდან და გათავისუფლებული ინდოეთის ქვეყნებით, შეიარაღებულ მდგომარეობაში იმყოფება და სხვა და სხვა სახით შეუჩერებლივ სწარმოებს ბრძოლები.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ევროპის იმპერიალიზმმა თავისი ბატონობის საფუძვლები უკვე გაანადგურა აღმოსავლეთში და გამოღვიძებული ხალხის სასტიკი ნებისყოფა მას სასიკვდილო განაჩენს უმზადებს.

Sanus.

# პარტიულ მუშაობისათვის

ჩვენში, როგორც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში, პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობისათვისაც სეზონები არსებობენ.

შემოდგომის მოწევის შემდეგ, ჩვენი გლეხი ოდნავ შეისვენებს და მთელი წლის ფიზიკური შრომისგან თავისუფალი იგი ბუნებრივად სულიერი საზრდოს მოპოვებისათვის არის მზად, თუ კი ამისათვის პირობები შეიქმნა.

ჩვენი გლეხი მართალია არ სდგას კულტურულად მაღალ საფეხურზე, მაგრამ მასში ძლიერია ცოდნის მოყვარეობა და იგი იმდენად ფხიზელი არის, რომ თვით ეძებს სულიერ საზრდოს.

ცენტრიდან ჩამოსული მგზავრი პროვინციის მცხოვრებთათვის წარმოადგენს რაღაც საპატიო სტუმარს, თითქოს მას მიჰქონდეს იქ ქალაქის სინათლე და ნათელს ფენდეს მუქ ფერისით მოცულ სოფელს.

სოფლის გლეხი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ყოველ ამბავს. გაზეთი მისთვის გაცილებით საპატიო საგანია, ვიდრე წვრილ ფეხა ქალაქის ინტელიგენციისათვის, რომელიც ქუჩის ჭორებით იკვებება.

სოფლის კულტურულად ამაღლებას სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა ხელისუფლების მხრივ და მაქსიმუმი ენერგიისა იხარჯება განმანათლებელი მუშაობისათვის.

ჩვენ გვინდა მივაქციოთ ჩვენი ამხანაგების ყურადღება პარტიული მუშაობისაკენ. პარტიული მუშაობის გაცხოველებისათვის სოფლად, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორიც არის დღეს.

წინეთ მებრძოლნი პარტიები, სადაც კი მიუწვდებოდათ მათ დემაგოგია, ყოველის გზით ცდილობდნენ ხალხის ჭკუით კვებას და ნაწილობრივად ამას კიდეც ქონდა გასავალი. დღეს ასეთი ჭორებს ინტელიგენციის ერთი ნაწილის უსუსური გონება თუ კიდევ იჯერებს, თორემ გლეხი და მუშა მას ირონიული ღიმილით ისმენს.

ამის გარდა საბჭოთა ხელისუფლება უკვე წესიერ კალაპოტში ჩადგა და თუ სოფლად პირველ ხანებში უპასუხისმგებლო ელემენტებმა წამოყო თავი, დღეს ამ მოვლენას ადგილი არა აქვს და მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება თვით ხალხის მიერ არჩეული ადმინისტრაცია.

ერთი სიტყვით, მტკიცე და ნორმალური პერიოდი უკვე განვლო სოფელმა და მშრომელი გლეხობა მოითხოვს დღეს განსაკუთრებით ყურადღებას.

ჩვენ არც ერთი სოფელი არ უნდა დაგვრჩეს, სადაც ჩვენი ხმა არ მიწვდება, სადაც ჩვენი სიტყვა არ იქნება მოსმენილი. ყოველი ჩვენი ამხანაგის მოვალეობაა ადგილობრივად გააცხოველოს მუშაობა, ხელი შეუწყოს პარტიული ორგანიზაციების დაარსებას. არ უნდა დაივიწყონ პროვინციელმა ამხანაგებმა, რომ ცენტრის მატერიალი რესურსები მეტად მცირეა და ადგილობრივად უნდა შესძლონ საჭირო თანხის შეგროვება პარტიული მუშაობის წარმოებისათვის.

სამაზრო კომიტეტებმა უნდა შეარჩიონ განსაზღვრული დრო და უნდა გამოაცხადონ პარტიულ მუშაობის პერიოდები, რომლის განმავლობაში ყოველი წევრი უნდა იქნეს კომიტეტის განკარგულებაში მიზან-შეწონილად გამოყენებისათვის.

ჩვენს წინაშე დიდი სამუშაოა გასაკეთებელი. ჩვენი უდიდესი ნაკლი ძველად იმაში მდგომარეობდა, რომ არ ვაქცევდით დიდ ყურადღებას გლეხურ სოფლებს, არ გვქონდა გლეხური ორგანიზაციები. ეს დღეს ნაწილობრივად გამოსწორებულია. ჩვენ გადავიტანეთ ოპერაცია, რომელმაც გაგვწმინდა წვრილბურჟუაზიული და შოვინისტური მასიდან და შევსძელით სოციალისტური და რევოლუციონური ელემენტების შემოკრება ჩვენს ირგვლივ. ეხლა საჭიროა ამ მიმართულებით კვლავ მუშაობის გაცხოველება, ენერგიულად ძალების მობილიზაცია და ახალი მასების დაპყრობა.

ვიმეორებთ, რომ პარტიული მუშაობის სეზონია ჩვენში ზამთრის პირი, ჩვენი გლეხი მაშინ არის თავისუფალი პოლიტიკური მუშაობისათვის და არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი მუშაობის გაჩაღებისათვის.

ჩვენ მოგვდის ცნობები პროვინციის ორგანიზაციებიდან, რომ მასის განწყობილება ჩვენი პარტიისადმი დადებითია. კიდეც არსდება ახალი ორგანიზაციები და მრავლდება წევრთა რიცხვი. აქაც საჭიროა სიფრთხილე და თვალფხიზლობა. ორგანიზაციაში არ უნდა შემოგვეპარონ საეჭვო ელემენტები. ორგანიზაციის რიცხვს არ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, არამედ შემადგენლობის ხარისხს. სამაზრო კომიტეტებს მართებს ამ მხრივ სასტიკი კონტროლის გაწევა და თვალყურის დევნება ახალი წევრებისადმი.

ჩვენ გვინდა მტკიცე ორგანიზაცია, მთლიანი შეგნებით და პოლიტიკური სიმწიფით. ფართო მასა კი აუცილებლად ორგანიზაციებს გარეშე უნდა დარჩეს და უნდა ხდებოდეს პარტიაში მუშაობის მსურველთა წრიდან ისეთი ელემენტების ამორჩევა, რომელიც საიმედოა როგორც პოლიტიკურად ისე ზნეობრივად.

დღესვე პარტიული მუშაობის გაცხოველება—აი მორიგი ამოცანა პროვინციელი ორგანიზაციების.

ს. კვინწულისპირელი.

# ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის

თუ კი ოდნავ მაინც ჰეშმარიტებას შეიცავს ის დებულება, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება უფრო ადრე სასოფლო მეურნეობის განვითარების გზით უნდა მოხდეს—ვიდრე მრეწველობისა,—ჩვენ დღიურ და ფრიად მნიშვნელოვანათ მიგვაჩნია სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხი ჩვენში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღება, მის მტკიცე საფუძველზე დაყენება და აღორძინება მხოლოდ სახალხო მეურნეობის წარმოების გზითა გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენი პასიური სავაჭრო ბალანსის გამოსწორება და აქტიურისკენ გადახრა უცხოეთის საქონლისა და სურსათის იმპორტით კი არ არის შესაძლებელი, არამედ საკუთარი გუთნისა და ჩაქუჩის ამუშავებით. ამ დებულების თეორიული სისწორე და მიღება ოდნავაც ვერ უშველის საქმეს, თუ პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ვერ შევძელით ფხისა და უნარის გამოჩენა. საკითხის სიმძიმეც სწორედ აქ არის,—თორემ გაჩანაგებული მრეწველობა და სას. მეურნეობა რომ კარგი საქმე არის,—ამაში მგონი სადაო არაფერიც უნდა იყოს. მაშასადამე, საკითხი მუშაობის წესებზე, საშუალებებსა და დაწყების მხრით სდგას.

საქართველოს მიწის ნიადაგი და კლიმატიური პირობები საუცხოვო შესაძლებლობას იძლევიან იმისათვის, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა კულტურულ ტეხნიკურ მეცნიერულობით მოვეპყროთ და დღეს დაკნინებული ჩვენი სოფელი კულტურის მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. ასეთი ინტენსიფიკაციის საჭიროება მოთხოვნილება არის არა მარტო სასოფლო მეურნეობისა, არამედ მთელი ქვეყნის საერთო კეთილდღეობის; ამას მოითხოვს მეზობელ სახელმწიფოებთან საქონლის წესიერი გაცვლა-გამოცვლა და ჩვენი ბაზრის დანაკლისის ანაზღაურება.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სასოფლო მეურნეობა და რა მხრითაა შესაძლებელი მისი გაუმჯობესება?

ჩვენში მსხვილი მიწისმფლობელობა არასოდეს არ ყოფილა; მართალია მიწების განაწილების მხრით დიდ უსამართლობას ქონდა ადგილი და მიწებს ისეთები ფლობდენ, რომელნიც არაფერით არ იყვნენ დაკავშირებული მიწასთან, მაგრამ მსხვილი მფლობელობა კი არასდროს არ შექმნილა. დღეს ჩვენში უმთავრესი და ერთად-ერთი მფლობელი მიწისა მიწის მუშები ე. ი. გლეხობაა, რომელთაც მიწები დანაწილებული აქვთ პარცელებად. ამ დაქუცმაცებულ მიწებზე თითქმის მთელ საქართველოში უმთავრესად ხორბლისა და სიმინდის კულტურას მისდევენ. ამათ გარდა უფრო მცირე მაშტაბით მისდევენ უფრო მაღალ კულტურასაც: მეთამბაქოობას, მევენახეობას და სხ. სულ კულტურული მეურნეობის ქვეშ მოქცეული არის მიწების მთელი ფონდიდან 1,295,457 დესეტინა, რომელთაგან დათესილი იყო:

1919 წ.—600.000 დეს.
1919 „ —770.000 „
1921 „ —520.000 „

თუ რა სივრცე არის დათესილი წელს, სრული ცნობები არა გვაქვს, მხოლოდ შარშანდელთან შედარებით ნათესები გადიდებულია 20—30-პროცენტით და

# უცხოეთი

**ბრიტანეთი და მუსულმანები.**

**მოსკოვი 19 სექტ.** ლონდონის პრესა გამოაქვეყნა ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს და კანონმდებლობითი ორგანოს წევრების დეპეშა ლოიდ ჯორჯთან.

დეპეშაში ისინი ემუქრებიან ლოიდ-ჯორჯს—ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით ბრიტანეთის და მუსულმანების დაახლოვებისათვის. დეპეშის ავტორები მოითხოვენ ადრიანოპოლის, სტამბოლის და სრუტეების დაბრუნებას ოსმალეთისათვის.

**რეპარაცია.**

**მოსკოვი 19 სექტ.** გერმანიამ აცნობა სარეპარაციო კომისიას, რომ მას არ ძალუძს გადაიხადოს საკომპენსაციო გადასახადების ანგარიშში ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი.

— გერმანიის პროფკავშირების წარმომადგენლებმა განუცხადეს ვირტს, რომ მიმდინარე წლის მოსავალი უდრის გასულ წლის სამ-მეოთხედს. გერმანიას არ ექნება შესაძლებლობა მოკავშირეებს მიაწოდოს ხორბალი, ხელშეკრულებაში აღნიშნულ რაოდენობით.

გერმანიის სახელმწიფო ბანკის მთავარი დირექტორი მიემგზავრება ინგლისს მთავრობის წრეების რჩევით.

ეს მგზავრობა პრესას აძლევს იმედებს, რომ სარეპარაციო კრიზისი დაძლეული იქნება.

ლონდონში მისვლის მიზანი ბანკის საერთაშორისო კონსორციუმის ორგანიზაცია გერმანიის ვალდებულებათ გარანტიისათვის. პრესა მდგომარეობას პესიმისტურად უყურებს. მას ეშინია რურის ოკუპაციის.

**მიუნხენის რკინის გზელთა ყრილობა.**

**მოსკოვი 19 სექტ.** მიუნხენის რკინის გზელთა ყრილობამ სანქცია გაუკეთა კომუნისტების კავშირიდან კომუნისტების გამორიცხვის ყოველ შემთხვევებს. კავშირის თავმჯდომარემ შეტყობინებაში განაცხადა, რომ შემდეგში მოხდება კომუნისტების სხვა კომიტეტებიდან გამორიცხვა.

**მოსკოვი 19 სექტ.** ფოსტ-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო კორკს კავშირი არ აქვს მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში.

**ტრედიუნიონების კონგრესზე.**

**მოსკოვი 19 სექტ.** ტრედიუნიონების კონგრესზე მიღებულია გენერალური საბჭოს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მრეწველობაში კონფლიქტების ლიკვიდაციას. თანახმად პროექტისა, ყველა კავშირები ვალდებული არიან აცნობონ საბჭოს წარმოშობილ კონფლიქტების შესახებ, რათა საბჭო ჩაერიოს შიგ ხოლოდ იმის შემდეგ, როცა ყველა ზომები კონფლიქტის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნება. კამათში აღნიშნეს ამ წინადადების რეაქციონური ხასიათი. პროექტი მიიღეს.

**ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია.**

**მოსკოვი 19 სექტ.** იტალიის კაბინეტმა მიმართა ლონდონს და პარიზს ხელმეორე ნოტით, სადაც დაჟინებით მოთხოვნილია ახლო-აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის აუცილებლობა ვენეციაში.

ნოტაში აღნიშნულია, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია და რომ დაყოვნება გამოიწვევს სერიოზულ გართულებებს.

**მეზღვაურების გაფიცვა.**

**ბორდო 18 სექტ.** სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა, სამუშაო დღის გადიდების დეკრეტის საწინააღმდეგოდ, უნდა დაწყებულიყო დილის 8 საათზე. მარსელიდან მიღებული დეპეშები იტყობინებიან, რომ დილის სრულ 8 საათზე სავაჭრო გემების ყველა ეკიპაჟები, რომლებიც ნავთსადგურში იმყოფებოდნენ, გამოვიდნენ ნაპირზე და დასტოვეს ნავთსადგურში მხოლოდ გემების დასაცავად საჭირო რიცხვი მეზღვაურებისა. ბორდოში, ნანტში, ლორიენში და ბრესტშიც ასეთივე განმეორდა.

# რუსეთი

**საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი**

**მოსკოვი 19 სექტ.** საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ჩინეთში იოფემ მიმართა ჩინეთის მთავრობას მემორანდუმით და მუშა-გლეხური მთავრობის წინადადებით, რათა მოწესრიგებულ იქნეს ურთიერთობა ორთავე სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობის საფუძველზე. იოფე წინადადებას აძლევს ჩინეთის მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება ორთავე სახელმწიფოსათვის აუცილებელ საკითხების შესახებ, რათა ამ ორ სახელმწიფოების შორის დამყარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩინეთის მთავრობამ თავის პასუხში განაცხადა თანხმობა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ და მოლაპარაკების ადგილად აირჩია პეკინი, რათა მოლაპარაკება დაიწყოს ძლიერ დაჩქარებით.

**კომინტერნის აღმასკომის მოწოდება**

**მოსკოვი. 19 სექტ.** კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ლაპარაკია თეთრი ტერორის ტალღაზე, რომელიც კვლავ მოედო ბალტიის განაპირა ქვეყნებს. ეს ტერორი დაიწყო ესტონეთში კინგისეპის დახვრეტით, მაგრამ ლატვია და პოლონეთი არ ჩამორჩა ესტონეთს. მოწოდებაში აღნიშნულია მთელი რიგი ახალ მხეცურ გამოსვლების მუშათა კლასის წინააღმდეგ ლატვიის, პოლონეთის და ესტონეთის ბურჟუაზიულ მთავრობების მხრივ. დასასრულ კომინტერნის აღმასკომი მიმართავს ყველა მუშებს მოწოდებით ხმა აღიმაღლონ თეთრი ტერორის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ ესტონეთის ლატვიის და პოლონეთის სისხლიდან დაცლილ და ნაწამებ პროლეტარიატს, რომელსაც განმარტოებით არ შეუძლია თავის დაცვა ბურჟუაზიის თავდასხმისაგან, რომელსაც მხარს უჭერს საერთაშორისო იმპერიალიზმი და სოციალ-გამყიდველების 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალი.

# ახალი ამბები

— **ტფილისის ირგვლივ ტყეების გაშენება** მიწად-მოქმედების კომისარიატმა შეადგინა პროექტი ტფილისის ირგვლივ ტყეების გაშენების შესახებ. განზრახულია ამ საქმის დაწყება კვირეულობით.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** სასოფლო-სამეურნეო იარაღების დიდი პარტია, რომელიც გამოწერილია მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ გერმანეთიდან, სასწრაფოდ საღდება. გლეხები ხალისით ყიდულობენ იარაღებს. განზრახულია იარაღების შეძენის განგრძობა.

— **დაკარგული მოწმობები** 12 სექტემბერს, გაქურდულ შაქრო და ვანო ედიშერაშვილების სახლიდან წაღებულ სხვა და სხვა ხაბაკებთან ერთად წაღებულია შოფერ ზაქარია დიმიტრის ძე ედიშერაშვილის პირადობის მოწმობა, რომელიც მიღებული იყო ავტო-ტრამოტიდან, და პროფკავშირიდან. ყველა დოკუმენტები ცხადდება გაუქმებულად.

— **წყალსადენის ავჭალის სადგურზე,** შეკეთების შემდეგ ავჭალის წყალსადენი ჩვეულებრივად მუშაობს. არხი დღიდან წყალსადენის აგებისა არ გაწმენდილა ე. ი. 30 წლის განმავლობაში. დაიწყო არხის გაწმენდა, რომლიდანაც ამოღებული 300 კუბ. საჟენი სილა. გაწმენდა დაჯდა 300 მილიონი მანეთი.

— **ტალახის საავადმყოფო.** ტფ. ქალაქის აღმასკომის პროექტით, ცოვიანობის აბანო გადაკეთდება ტალახით საავადმყოფოდ. ტალახი მოტანილ იქნება ახტალიდან.

## პროვინციის ცხოვრება

**რიონი.** უკანასკნელი წყალდიდობით დაზარალდა რიონის მახლობლად მდებარე ვარციხის სახელმწიფო მამულები. წყალმა წაიღო 1 დესიატინა ყანა სავსებით.

**გორი.** უკანასკნელ დღეებში ადგილს ჰქონდა სეტყვას. დაზიანება ხილის ბაღები მერეთის სახალხო მამულში და სკრა. ზარალი უდრის ნახევარ მილიარდ მანეთს.

**ბორჯომი.** ბორჯომის წყალი ქარხანას უჯდება დღეს 18.000 მანეთი ბოთლი. მამულის მმართველობა კი კონტრაგენტებზედ აძლევს 14.000 მანეთად ბოთლს. კონტრაგენტები კი მარტო მოქმედებენ და ბათომში ბოთლს ყიდიან 100.000 მანეთად.

**სოხუმი.** აფხაზეთის ეკონომიური თათბირის პრეზიდიუმმა დაადგინა მიეცეს 300 მილიონი მანეთი მუშათა მთლიან კოოპერატივს პირველი შესაძლებლობისთანავე. წინადადება მიეცა ყველა დაწესებულებებს რაიმე სავაჭრო ოპერაციებისათვის კავშირი იქონიონ მუშათა მთ. კოოპერატივებთან.

## სამხატვრო ქრონიკა.

**ქართულ დრამის რეპერტუარი.** სექტემბრის 18-ს რუსთაველის თეატრში შესდგა სარეპერტუარო კომისიის სხდომა, სადაც გამომუშავებულ იქმნა მთელი წლის რეპერტუარი, მიმდინარე სეზონისათვის.

ორიგინალური პიესებიდან მიღებულ იქნა: „პაატა ბატონიშვილი" დ. ნახუცრიშვილისა, „ლონდა" გრ. რობაქიძისა, „სამანიშვილის დედინაცვალი" დ. კლდიაშვილისა, „მთის ზღაპარი" ნ. შიუკაშვილის, „სიმახინჯე" მისივე, „მოლიპულ გზაზე" ა. ხოშტარიასი, „მზის დაბნელება საქართველოში", „ვარამი" შალვა დადიანისა, „სამეგრელოს მთავარი ლევანი" ს. ყიფიანისა, „ჯვარი ნინოსი", „პატარა კახი" აკაკისა, „ლალატი" ალ. სუმბათაშვილისა. „სამშობლო" დ. ერისთავისა და „ავგაროზი" შ. შარაშიძისა.

**ნათარგმნი კლასიური პიესები:** „რომეო და ჯულიეტა", „მაკბეტი", „ცხოვრის წყარო" „პადუის დედოფალი", „ჰამლეტი", „M-lle ფიფი", „მარგალიტა გოტიე", „ვერაგობა და სიყვარული", „ჰენრიხ ნავარიელი". „ურიის სისხლი", „იდეალური ქმარი", „ჰოიდიპოს მეფე", „ჰოიდიპოს კოლონებში", „პარიზის ღარიბი ღატაკნი" „პატიოსნება", „ფლორენციის ტრაგედია", „პადუის ტირანი".

გარდა ამისა გადაწყვეტილია განახლდეს ძველი რეპერტუარიდან შემდეგი პიესები: „უგვირგვინო მეფენი", „ვიდრე ხვალ უფალო?!", „ოტელო", „თამარ ცბიერი", „გუშინდელნი", „ტარტიუფი", „ანტიგონე", „დავა", „გაყრა", „გადაჰქრილი მუხა", „ბერდო ზმანია", „ალბუმი", „მადამ სან-ჟენი", „ირინეს ბედნიერება", „დარისპანის გასაჭირი", „სიზმრები", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ".

აგრეთვე განზრახულია გაიმართოს სისტემატიურად კვირა-უქმეებში საბავშო წარმოდგენები. რეპერტუარი: „კოტეს დანაშაული", „თომას ქოხი", „პრინცი მეღორე" და „ავგაროზი".

## ახალი რეფორმა და ჩვენი სახალხო მასწავლებლობა.

(დასასრული *)

ერთმა ფრიად სამწუხარო მოვლენამ იჩინა თავი ჩვენში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში:— ვინ გინდათ, რომ დღეს სახალხო მასწავლებლის წმინდა სახელს არ ატარებდეს, ვინ გინდათ, რომ არ მასწავლებლობდეს ჩვენი სოფლის სკოლებში... შედით რომელიმე სოფლის სასწავლებლის კარები და იქ თქვენ დაინახავთ მასწავლებლის კათედრაზედ საამისოდ სრულებით მოუმზადებელ პირს და კიდევ უფრო გეტკინებათ გული როდესაც გაიგებთ, რომ ასეთ „მასწავლებელთა" რიცხვი ძალიან საგრძნობია... ჩვენს სოფლებში, (მხედველობაში მაქვს დასავლეთი საქართველო) ხშირია ისეთი მასწავლებლები, რომელთაც თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თავიანთ საპასუხისმგებლო, მეტისმეტად რთულ საქმეზედ, რომელთაც თვისაც გაუგებარია ბავშვის საკუთარი გრძნობანი და მისი ფსიქოლოგია და ამით ამახინჯებენ ჯერ კიდევ ყმაწვილის უშლელ გრძნობასა და გონებასაც. ერთის სიტყვით, ახალი ტიპის სკოლებისათვის კი არა, არც უკვე დრომოჭმულ სკოლებისთვის გვყოლია და გვყავს მომზადებულ მასწავლებელთა საკმაო რიცხვი. სახალხო მასწავლებელთა სინაკლულე ჩვენში, 1918—19 წლებშიაც მეტად საგრძნობი გახდა, როდესაც მთავრობამ გახსნა მთელი რიგი ახალ სასწავლებლებისა, განსაკუთრებით სოფლებში. მასწავლებლის მდგომარეობა არც მაშინ იყო სახარბიელო და ამისთვის ბევრი არავინ იტკენდა თავს, რადგან იცოდა, რომ მასწავლებლის და ისიც სახალხო მასწავლებლის ჯამაგირით ძალიან გაუჭირდებოდა ცოლშვილის რჩენა. ჩვენს სოფლის სკოლებს ამ ხნიდან დაწყებული ბევრი მომზადებული მასწავლებელი დააკლდა... მათი ადგილი დაიჭირა მოუმზადებელმა ხალხმა და ამით ჩვენი სასკოლო საქმეები ძალზედ აიწყო. ახალი ძალების შეძენა ძლიერ ნელი ნაბიჯით სწარმოებს, რადგან მასწავლებლობა ეხლა არავის სურს—ყველამ იცის, თუ რა აუტანელ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მასწავლებლობა საერთოდ და, განსაკუთრებით კი სოფლისა, რომელიც მთელი დღე დამშეულ ნახევრად მშიერი და ტიტველი ათენებს... ჩვენი სასოფლო სასწავლებლები ყოველმხრივ გაჭირვებას განიცდიან, როგორც შენობების, ისე ავეჯეულობისა თუ სხვა და სხვა სახელმძღვანელო, სასწავლო ნივთების მხრივ და ეხლა დაუფიქრდით მას, რაც ყველაზედ საშინელებაა—მისი იდეური გაკოტრება თუ არა, ამისი ახლო მომავალში შესაძლებლობა მაინც და ყოველი ქართველის გონებაში საშინელი ფიქრები აღიძვრება უსათუოდ! ვის ხელშია დღეს საქართველოს მომავალი? რამდენად მომზადებული მასწავლებლობა ზრდის დღეს მომავალ საქართველოს მოქალაქეთ, განსაკუთრებით სოფლად და რითი არიან ისინი უზრუნველყოფილნი? ჩვენდა სამწუხაროდ ცხოვრების სინამდვილე მეტად ცუდ პასუხს იძლევა... მართალია ჩვენ ქაღალდზედ შევცვალეთ ძველი სამოსწავლო, უვარგისი სისტემა და მის ნაცვლად ახალი, ცხოვრების მოთხოვნილებებთან უფრო შეგუებული სისტემა შემოვიღეთ, მაგრამ კიდევ უნდა გავიმეოროთ—ეს მხოლოდ ქაღალდზედაა, სინამდვილეში კი ჩვენი მეტად ცუდ მდგომარეობაში მყოფი სასკოლო საქმეები მანამდე არ წაიწევს წინ და არ გამოკეთდება, სანამ ხელისუფლება არ შექმნის ამის ხელის შემწყობ პირობებს, განსაკუთრებით მასწავლებელთა მდგომარეობის საფუძვლიანი შეცვლით უკანასკნელთა სასარგებლოთ მანამ ეს ასე არ მოხდება და საქართველოს სახალხო მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არ იქნებიან, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი მინიმალური მოთხოვნილებანი მაინც, სრულებით ზედმეტია ჩვენ სკოლების გაუმჯობესებასა და ახალ, ფრიად სასურველ და სასარგებლო რეფორმის გატარებაზედ ფიქრი... აბა როგორ უნდა შესძლოს მშიერმა მასწავლებელმა სინიდისიერათ და პატიოსნად ემსახუროს თავის ერს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს, როდესაც ის იძულებულია მიატოვოს თავისი საყვარელი საქმე და სადღაც, რომელიმე კანცელარიაში და, კიდევ უფრო ხშირათ, სავაჭროში შეჰყოს თავი, რომ სიმშილისაგან და სიკვდილისაგან იხსნას თავისი თავი და ცოლ-შვილიც...

ვისაც აინტერესებს ჩვენი სამშობლოს მომავალი და ოდნავად მაინც ზრუნავს მის კეთილდღეობისათვის, ის ვალდებულია საქმეს დროით მიაქციოს ყურადღება. დიდი, ძალიან დიდი ნაწილი ჩვენი სახალხო მასწავლებლებისა ამ საქმისათვის მოუმზადებელნი არიან., საჭიროა მათი ფილტრაცია, დაწმენდა... ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს მაინცა და მაინც სასწავლებლების სიმრავლე, არამედ ჩვენი ყურადღება მათ ღირსებას მიაპყრათ,.. საქმე ღირსებას და არა რიცხვი.,. ჩვენი სასოფლო სკოლების საქმე კატასტროფულია. მისი არ გამოსწორება ყოვლად დაუშვებელია, რადგან სოფლის ხალხში ყანტი-ყუნტად ეხლაც გაისმის საყვედურები ეხლანდელ სკოლების მდგომარეობის შესახებ და თუ ცოტაც დავიგვიანეთ—შესაძლებელია ხალხმა გული აიყაროს საერთოდ განათლებაზედ—დღეს რომ ეგეთი სიძლიერით ეტანება... მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორება აუცილებელია, რადგან ეს დღევანდელ ჩვენს სკოლებს, რომლებიც, როგორც ზევითაც ვსთქვით, უკვე იდეურათ გაკოტრების გზას ადგანან, დაუბრუნებს მომზადებულ ძალებს და საშუალებას მისცემს მათ მთელი თავიანთი ენერგია ამ მეტად საფრთხილო და დიდმნიშვნელოვან ასპარეზზედ დახარჯონ...

სკოლის საკითხი არ არის ერთი ან ორი პიროვნების საკითხი და არც თუ ჯგუფისა ის მთელი ხალხის, მთელი კაცობრიობის საკითხია და მისადმი ყურადღების არ მიქცევა ყველასათვის გამოუსყიდველი დანაშაულია.

თუ გვინდა გავატაროთ [illegible] განახლებული სკოლის პრინციპები— შევქმნათ [illegible] მასწავლებლებს დაუბრუნდეს მომზადებული პედაგოგები... უღირსნი დაუყოვნებლივ დავითხოვოთ, თუ გინდ ამისთვის სკოლის დახურვაც კი დაგვჭირდეს!

ზედმეტია სასწავლებლების განახლებაზედ ლაპარაკი, თუ ისინი, ვინც ცხოვრებაში უნდა გაატაროს ეს რეფორმები, ვინც თეორია პრაქტიკათ უნდა აქციოს—საამისოთ მოუმზადებელია.

გრ. შავგულიძე.

*) იხ. „ტრიბუნა" № 296.

## სამწერლობო განძეულობის მთავრობის მიერ შეძენის გამო.

წარსულ შაბათს ქუთაისიდან ამოვიდა გაზეთების სააგენტო „იმერეთი"-ს მმართველი მწიგნობარი ისიდორე კვიცარიძე, რომელსაც ამა წლის 21 მაისს გამოუგზავნია მთავრობისათვის მოხსენება, რომელშიაც იგი წინადადებას აძლევს მას შეიძინოს **საქართველოს ეროვნულ მუზეუმისათვის** თავის კანტორა „იმერეთში" ნაგროვები სამწერლობო განძეულობა, რომლის სრული აღწერილობა-კატალოგი უკვე წარუდგინა მთავრობას.

ეს განძეულობა შესდგება: ა) **ქართულ ჟურნალ-გაზეთებისაგან,** რომლებიც თავნაყარი აქვს კანტორა „იმერეთს" 1890 წლებიდან დღემდი. ესენია ყველა დღემდი არსებულ მიმართულების პერიოდული გამოცემები. ამათში შემგროვებელ მწიგნობრის სიტქმით, აღსანიშნავია უმთავრესად პროვინციალურ ქალაქების გამოცემანი: გორის, სიღნაღის, ბათომის, ონის და განსაკუთრებით ქუთათური ხუთი მიმართულების უკანასკნელი 5 წლის, რევოლიუციის დროის დღიურ-კვირეული გამოცემანი. ესენი არსად სატახტო ქალაქების წიგნთ-საცავებში არ მოიძებნება, რადგან ტეხნიკურ მიზეზების გამო, გასავრცელებლად გამომცემლებს არ უხერხდებოდათ მათი გზავნა.

ბ) რუსეთის და უმთავრესად ქართველ გამოჩენილ **მწერალ-მოღვაწეთა სურათები,** დიდი და პატარები ჩარჩოებში და უჩარჩოთ. ესენი სხვა და სხვა სალიტერატურო შემთხვევათა და მომენტების გამო არიან გადაღებულნი ის. კვიცარიძის ინიციატივით უმთავრესად ქუთაისსა და ტფილისში.

გ) **ქართული წიგნები** და აგრეთვე რუსული სამეცნიერო საუცხოვო დიდრონი გამოცემანი რუსების ცნობილ გამომცემლებისა, მაგ. პროსვეშჩენიესი, ვოლფის, გრანატის, სუვორინის, შიტნერის და სხ. მისთ.

დ) რამდენიმე იშვიათი **სამუზეუმო ნივთები** და გეოლოგიური ნაშთი გაქვავებული ხისა ტყიბულის მაღაროებიდან გამოტანილი.

დღეს, როგორც გვითხრა აწ. ის. კვიცარიძემ, იგი თავის წინანდელ მოხსენებას აფართოვებს და უმატებს იმას, რომ მას ტეხნიკურად საშუალება ეძლევა შეიძინოს სრული კომპლექტები მთელი ძველი ჟურნალ-გაზეთებისა, მე-60 წლებიდან მიყოლებული 1900 წლამდე ი. ჭავჭავაძის, აკაკი და გიორგი წერეთლის, ი. მაჩაბლის, სერგეი მესხის, ნ. ნიკოლაძის და საზოგადოდ მე-68—70 წ. წ. მოღვაწეთა პერიოდული გამოცემანი.

ამნაირად მწიგნობარი ის. კვიცარიძე აპირებს ჩააბაროს მთავრობას ჩვენი ქართული მწერლობის მთლიანი საუნჯე, რომელიც დიდი დაუფასებელი შენაძენი იქნება ქართული მუზეუმისათვის. ეს იქნებაო, გვითხრა თავდაბლათ მწიგნობარმა ის. კვიცარიძემ, დაგვირგვინება ჩემი მცირედი შრომისა სამწიგნობრო ასპარეზზე, რომელსაც იდეურად ვემსახურები 30 წელიწადია ჩემი ხელმოკლეობის კვალობაზეო დამთავრობამ დღეს საგრძნობი საშუალება

მომცა, ჩემ დღევანდელ განზრახვასაც ნათლად და სავსებით შევასრულებ ძალიან მოკლე ხანში.

დღეს დღეობით კი ის. კვიცარიძეს თავის შეჩვეულ ხელობით, მწიგნობრობით თავის ოჯახი ვეღარ ურჩენია, აუღია კერძოდ სახელმწიფო ბანკიდან ას მილიონამდე ვალი, და მით მოუწყვია თავის მამისეულ მამულში (სოფ. ოფურჩეთს—ქუთაისიდან მე-12 ვერსზე რაჭა-ლეჩხუმის შარა გზით) ოჯახი და მეურნეობა და ამით აპირებს ოდნავ ცხოვრების სახსრის გაჩენას. მხოლოდ მას მეტად სჭირდება დღეს ამ ვალების გასტუმრება და მისთვის მიაშურა სატახტო ქალაქში მთავრობას თავის 30 წლის ნაშრომ-ნაგროვებ განძეულობის შესაძენათ, რომ მისგან მიღებულ ავანსით დღევანდელ დავალიანებისაგან განთავისუფლდეს, ხოლო მცირე ნაწილით შეავსოს დანაკლისი თავის სამწერლო განძეულობისა.

რაც შეეხება ამ განძეულობაში საბოლოვო თანხის მიღებას, ჩვენ უანგარო მწიგნობარს განზრახვა ჰქონია ნაწილი ამ თანხისა მოახმაროს თავის ოფურჩეთის თემის სახალხო განათლების კულტურულ საქმეებს, რომლითაც ეს თემი მეტად და მეტად ჩამორჩენილია ქუთაისის მაზრაში და რომელზედაც ამხ. კვიცარიძე ასე დღიურ-დაუღალავათ მუშაობდა ამ ხნის განმავლობაში.

# მოწერილი ამბები

## ნიაღვარი დასავლეთ საქართველოში.

**ქუთაისი.** ღამით 7 და 8 სექტემბერს ქუთაისში და მის მიდამოებში მოვიდა არა ჩვეულებრივი ნიაღვარი. წვიმა დაიწყო საღამოს; 7 სექტემბერს განუწყვეტელი ჭექა ქუხილით და საშინელი ქარიშხალით. მალე ნიაღვარი გადაიქცა ნამდვილი წყლის გრიგალად. ქუჩები განსაკუთრებით ორბელიანის და ბალახვანის მდიდრებულ მდინარეს დაემსგავსნენ, ენგელსის სახელობის ქალაქის ბაღი კი ტბად გადაიქცა. ნიაღვარი გაგრძელდა მთელი ღამე ქალაქი მთლად დაფარა წყალმა. ქუჩებში გასვლა შეუძლებელი შეიქნა, არხირების და გამავის მთებიდან ჩამოდიოდა მრავალ რიცხოვანი წყალ-ვარდნილი. ტემპერატურა დაეცა 12 გრადუსამდე ნორმალურ 20 გრადუსის წინაამდეგ.

რადგან სახლები, განსაკუთრებით სახურავები დიდი ხანია არ შეკეთებულა, ბინების უმრავლესობა წყალით გაივსო. გამავის და არხირების გორაკებთან მახლობლად მდებარე ქუჩები სრულიად წალეკილია, სახლები ძლიერ დაზიანებულია. ორი სახლი, მათ შორის ერთი ორსართულიანი, დაინგრა. არის მსხვერპლი.

ნიაღვარი შეჩერდა 8 სექტემბრის დღის 2 საათზე. გაგრძელდა ის 20 საათი, რა ზიანი მიაყენა ნიაღვარს მაზრაში ჯერ გამორკვეული არ არის; არის ცნობები, რომ ზოგიერთ ადგილებში დაზიანებულია სიმინდის ნათესები.

**ხონის მაზრა.** 9 ამა სექტემბერს ნასაკირალის თემში ადგილი ჰქონდა მოსავლის გამანადგურებელ, შემდეგ მოვლენას: 6 სექტემბრიდან დაწყებულმა გრიგალმა ქარმა მიწასთან გასწორა მთელი სიმინდ ხორბლის მცენარეულობა. ქარს შედეგად მოჰყვა ხშირი და გამუდმებული წვიმები, რომლის შემდეგ საშინელი ქარიშხალის გამო მდ. რიონი გადმოვიდა მარჯვენა მხარეს და წყალმა დაფარა მთელი ნასაკირალის თემის მდებარეობის 90 პროც, საც ნე ადგილები მოყოლია წყლის ქვეშ, რითაც სავსებით განადგურებულია მოსავლის ორი მესამედი, დამხრჩვალია აუარებელი წვრილფეხა ცხოველი: პირუტყვები და ფრინველები. ზარალი მეტად საგრძნობია და მისი დაწვრილებითი გამორკვევა ამ ჟამად შეუძლებელი ხდება, ვინაიდან უმეტეს ადგილებზე ჯერ კიდევ წყლებია და მიმოსვლა აღკვეთილი არ არის.

აღნიშნულ თემში საზ ადმასკომმა უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი და მის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ზარალის გამოსარკვევად, რაზედაც ცნობებს დამატებით მოგაწვდით.

დამატებით ჩვენი მოხსენებისა გაცნობებთ, რომ, როგორც გამოირკვა, მდ. რიონის გადასვლის გამო, დაახლოვებით ასეთივე ზარალი აქვს მიყენებული ნასაკირალის ახლო (რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირას) მდებარე თემებს, განსაკუთრებით სუჯუნის თემს.

საერთო ზარალის რაოდენობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია, მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მოსავლის 2—3 აღნიშნულ ადგილებში სავსებით განადგურებულია.

— **დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ.** როგორც ოზურგეთიდან ატყობინებიან წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიამ უკვე დაათვალიერა ყველა დაზარალებული სოფლები. შთაბეჭდილება საშინელია. ზარალი დიდია. განსაკუთრებით დაზარალდნენ სოფლები—შემოქმედი, გომი, ჩოჩხუთი. ყველა ამ სოფლებში დანგრეულია ათი სახლი და გაფუჭებულია გზები. წაღებულია და დანგრეულია ხიდები, ტელეფონის და ტელეგრაფის ბოძი. გაფუჭებულია ყანები და ბაღები. დაიღუპა მრავალი საქონელი. წყალი ახლაც ემუქრება ზოგიერთს. გომში არის მსხვერპლი. ოზურგეთში ჩამოტანილი პური გაიგზავნა თავისი დანიშნულებისამებრ, კომისია თავის წარმომადგენლობას აწყობს ოზურგეთში. ზემო გურიიდან ცნობის მიღების შემდეგ, კომისია, თუ შესაძლებელი იქნა, გაემგზავრება იქ.

**წყალდიდობის შედეგი.** როგორც მიწადმოქმედების კომისარიატს ატყობინებენ, ვარციხის სახალხო მამული (რიონის სადგურის მახლობლად) დიდათ დაზარალდება წყალდიდობას. ნიაღვარს მოუგლეჯია ერთი დესეტინა მიწა, სიმინდით დათესილი და გადაუსილია. სულ მცირე დაღუპულია 500 ფუთი სიმინდი.

—

**ტიმოთეს უბანი.** წაღვერიდან 4 ვერსის მოშორებით ს. ტიმოთეს უბანში გაშენებულია ძველის-ძველი მონასტერი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს უძვირფასეს ისტორიულ ნაშთს.

ამ ჟამად არ შევეხები ამ მონასტრის რაობას: ეს უკვე ცნობილია ჩვენს ისტორიაში და არა ერთი წერილი დაწერილა როგორც ამ მონასტერის ნანგრევებზე, ისე მის ერთად-ერთ გუშაგ მამა პახომზე.

მე მინდა მხოლოდ ქართულ გაზეთის მკითხველებს დავანახო ის არა-სასურველი მოვლენა, რომ საქართველოს კულტურის შესახებ არა სასურველი წერილები იბეჭდება რუსულ გაზეთებში და ამით შეცდომაში შეჰყავთ როგორც რუსი საზოგადოება, ისე რედაქციის თანამშრომელნი და რედაქცია ხომ ვალდებულია ყოველივე წერილს ანალიზი გაუკეთოს და ისეთ კორესპონდენციას, —რომელსაც „პროვოკაციის სუნი“ უდის არ დაუთმოს გაზეთის ფურცლები.

აი, ამ მონასტრის შესახებ ვინმე „ს. ნაგაფნია“ ყოვლად ღვარძლიან წერილს ათავსებს „ზარია ვასტოკაში“ (№ 63, სექტემბრის 2-ს).

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამ წერილის ავტორი სრულიად უვიცი ბრძანებულა აქაური მდებარეობის შესახებ: ტიმოთეს უბნის გარემოს გუჯარეთის მდინარეს აკუთვნებს და სხვა.

თურმე ს. ნაგაფნია გამგზავრებულა თავის ამხანაგებით ამ მონასტრის სანახავად; მამა პახომის შვილიშვილს, ახალგაზრდა ცირას გულწრფელად „აუხსნია მონასტრის ისტორიული მნიშვნელობა და უთქვას, რომ საზოგადოთ ამისთანა ნანგრევებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის და ინტელიგენციამ არ უნდა დაივიწყოს ჩვენი ძველი ჩვეულებანი, ურომლისოდაც კაცობრიობის წინსვლა შეუძლებელი იქნებაო“..

კორესპონდენტი დასძენს დაცინვით: „რა იცოდა ამ ნორჩმა მღვდლის ქალიშვილმა, რომ მის წინაშე იდგნენ ბოროტი სულნი ბოლშევიკებიო!“

როგორ! ნუ თუ საქართველოს ნაშთების შესწავლას და მისი მოვლას ახალი ხელისუფლება ხელს უშლის?. მაშ რაშია საქმე! აშკარაა ეს წერილი ქართველის დაწერილი არ უნდა იყოს!

ბოლოს კორესპონდენტი დასცინის აქაურ დღეობას, რომელიც იმართება 26 მარიამობას ხოლმე და სანთლების გაყიდვას მამა პახომის მიერ ექსპლოატაციად სთვლის. ნუ თუ არ იცის კორესპონდენტმა, რომ რწმენის თავისუფლებას ვერავინ ვერ აღკვეცავს! ამის შესახებ ხომ იყო დეკრეტი! მაშ სად არის აქ ექსპლოატაცია? სანთლებს ჰყიდის მოხუცი ბერი, მერე? იგი ძალით არავის აჩეჩებს სანთლებს, არც თავის რწმენას ახვევს ვისმე?..

მას აქვს მეტად საინტერესო დღიურები დავთრებად შეკერილი, რომელშიაც ჩაწერილია ყველა მიმავლელის შთაბეჭდილება და ჯერ ამ 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა ერთი კაციც კი, რომელსაც პახომისათვის ფეოდალი ბერი ეწოდებინოს. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა აქებს მის მზრუნველობას ამ მონასტრის შესახებ.

ეს კორესპონდენტი ისე კადნიერდება, რომ დასასრულ სწერს: „თუ მაინცა და მაინც ამ რღვეულ მონასტერს რაიმე „ისტორიული“ მნიშვნელობა აქვს (!!?) მიუყენეთ დარაჯი, ხოლო მამა პახომი კი უნდა გამოგდებულ იქმნას ამ მონასტრიდანაო!“

მამა პახომი—ასი წლის ბერი, ძლივს ჩიფჩიფებს და რომელმაც ამ მონასტერს შესწირა თავისი ძვირფასი დღენი, რათა სიკვდილის შემდეგაც ამ მონასტერში ჩააწყოს თავის ძვლები—„უნდა გააგდონ აქედანო“.

რა დააშავა;. ვის რას უშავებს? ზამთარ ზაფხულ სცხოვრობს თავისთვის ამ გადაყრუებულ ადგილს ეს ბერი, ასუფთავებს მონასტერს, უვლის, ულოლიავებს, ხოლო მისი შვილიშვილი კი „მარიამობა დღეს“ მსურველთათვის სანთლებს ჰყიდის —აი ყველა დანაშაული!

ნუ თუ ამას ეძახის კორესპონდენტი „ქრისტიანულ მძარცველობას“, ნუ თუ ამით შეიძლება გლეხების გულის მოგება, ეს ხომ, პირიქით, შეურაცხყოფაა ადგილობრივ მცხოვრებთა „—უნდა ამ ბერს იჯარის ფული გამოართვას მთავრობამ, ჩვენში ხომ ეხლა ახალი „ნეპოაო?“

აი სადამდის მიდის ულოღიკობა — ჯერ სწერს ხალხს „მორწმუნოება რყვნისო“ და მერე იჯარის ფასი უნდა გადავახდევინოთ მონასტერსო!

იმედია, შემდეგში არ განმეორდება ასეთი ექსპლოატაცია „ურწმუნოების შესახებ და მთავრობის წევრებიც მიაქცევენ ყურ დღებას, ეს პირველი მაგალითი თუ მიჩქმალეს, ასეთი კორესპონდენტები შემდეგში უფრო გამრავლდებიან და მთელ გაზეთებს აავსებენ პროვოკაციულ წერილებით!

უჯავრელი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 51.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

**სატარიფო განაკვეთის შესახებ.**

ამა 1922 წლის ივნისის 26 ს თარიღით და 29 №-ით გამოქვეყნებული დადგენილების მე 3 პუნ ლიტ. „ა“ და „ბ“ თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, განაწილებულ იქნეს ოთხ ზოლად:

**პირველ ზოლს მიეკუთვნის:** ქ. ტფილისი ავჭალითურთ, ქ. ბათომი, ტყიბული (მაღაროს ტერიტორია), ჭიათურა (სამრეწველო რაიონი), ქ. ფოთი, ქ. სოხუმი.

**მეორე ზოლს მიეკუთვნის:** ქ. ქუთაისი, ქ. ბორჯომი, ბათომის ოლქი, სვანეთი და [illegible] მაზრები.

**მესამე ზოლს მიეკუთვნის:** ქ. გორი, დაბა სურამი, ქ. ხაშური, ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) და მაზრები: შორაპნისა, დუშეთისა, ბორჩალოსი, ზუგდიდისა, ოზურგეთისა, სენაკისა, ქუთაისისა, თიანეთისა, ტფილისისა და სამხრეთ ოსეთი.

**მეოთხე ზოლს მიეკუთვნის:** მაზრები—ახალციხისა, გორისა, სიღნაღისა, თელავისა და ახალქალაქისა.

2. დაწესებულ იქნეს იმ სახელმწიფო დაწესებულებათათვის და წარმოებათათვის, რომელნიც სახელმწიფო მომარაგებაზე არიან, შემდეგი მინიმალური სატარიფო განკვეთი 17 თარისხოვან სატარიფო ცხრილის ყველა თარისხის მომუშავისათვის დაწესებული ზოლის მიხედვით.

| თარისხ | ზოლი 1 რიგელი 100 პროც. | ზოლი მე 2-რე 90 პროც. | ზოლი მე 3 ე 80 პროც. | ზოლი მე 4-ე 70 პროც. |
|---|---|---|---|---|
| 1 | 930 000 | 835.000 | 745.000 | 650 000 |
| 2 | 1 040.000 | 936.000 | 832 000 | 728 000 |
| 3 | 1.155.000 | 1.040 000 | 924 000 | 810 000 |
| 4 | 1 265 000 | 1.140 000 | 1.010.000 | 885.000 |
| 5 | 1 875.000 | 1.240 000 | 1.100.000 | 960 000 |
| 6 | 1 490 000 | 1.340.000 | 1.190 000 | 1 045 000 |
| 7 | 1.600.000 | 1.440.000 | 1 280 000 | 1. 20 000 |
| 8 | 1.710.000 | 1 540.000 | 1.370 000 | 1 200.000 |
| 9 | 1 860 000 | 1.670.000 | 1.490 000 | 1 300.000 |
| 10 | 2.090 000 | 1.880.000 | 1.670.000 | 1.460 000 |
| 11 | 2.270.000 | 2 040 000 | 1.820.000 | 1 590.000 |
| 12 | 2.510.000 | 2 280.000 | 2 010.000 | 1 760 000 |
| 13 | 2 680 000 | 2.410 000 | 2 145 000 | 1 870 000 |
| 14 | 2.920 000 | 2 630.000 | 2 335 000 | 2 045 000 |
| 15 | 3.160.000 | 2 845.000 | 2.530 000 | 2 210 000 |
| 16 | 3.405.000 | 3 055.000 | 2 725 000 | 2 385 000 |
| 17 | 3.720 000 | 3.340 000 | 2 980.000 | 2.600 000 |

**შენიშვნა 1:** მე 2-ე პუნქტში აღნიშნული სატარიფო ცხრილის განაკვეთში შედის სამუშაო გასამრჯელო როგორც ფულად, აგრეთვე სასურსათო ნაწილიც.

**შენიშვნა 2:** ამავე მე-2-ე პუნქტში განსაზღვრულ სატარიფო განაკვეთში შედის აგრეთვე გასამრჯელო კომუნალური დახმარებისათვის.

3. ამა დადგენილებით დაწესებული მინიმუმი სამუშაო გასამრჯელოსი სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება—დაწესებულებათათვის გამონაკლისად, რომლის ნაკლებ არც ერთ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულება-წარმოებას უფლება არა აქვს სამუშაო გასამრჯელო აძლიოს.

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული სამუშაო გასამრჯელოს ნორმის გადიდება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულება-წარმოებაში სათანადო პროფესიონალური კავშირების მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადებით.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში 1922 წ. სექტემბრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შრომის სახალხო კომისარი ი. ჟორდანია.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1922 წ. სექტემბრის „ 18 „.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დაეკარგა** პასპორტი მოცემული ქალაქის სამმართველოდან, სტანისლავ დათება შვილის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაეკარგა** სარეგისტრაციო სამხედრო აღრიცხვის ბარათი. დავით ზაქარიას ძე იოსრაშვილმა, რასაც ვთვლი გაუქმებულად.


# ტფილისში

## ტვირთ-ზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისია

## წინანდელ დადგენილებათა შესაცვლელ დ

## ტფილისის ქალ. აღმასკომის

სავალდებულო დადგენილების № 6 § 1 თანახმად ამით აცხადებს, რომ ა. წ. 17 სექტემბრიდან მოქალაქენი, რომელზედაც ვრცელდება ტვირთზიდვის გადასახადი:

500,000 მან. მაგიერ უნდა გადაიხადონ 550,000 მ.

1,000,000 მ. მაგიერად 1,100,000 მან.

1,200,000 მ. „ 1,320,000 მან.

ეს დადგენილება ძალაშია განსაკუთრებულ გამოცემამდე

პასუხისმგებელი მდივანი.

1 1 330


ტირაჟი 1600

საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.